



საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო  
სააგენტოს უფროსი

**LEPL - NATIONAL AGENCY OF EXECUTION OF NON-CUSTODIAL SENTENCES AND PROBATION  
HEAD OF AGENCY**

0177, ქ. თბილისი, ალ. ვაზბეგის გამზ. №42, ტელ/Tel.: (+995 32) 292 72 24  
42 Kazbegi ave., Tbilisi, 0177, Georgia, [www.probation.gov.ge](http://www.probation.gov.ge), E-mail: [info@probation.gov.ge](mailto:info@probation.gov.ge)

№ 773

„19“ სექტემბერი 2013 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დანიშვნის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილების მე-5 მუხლის და „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 29 დეკემბრის №903 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქ/პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურედ განისაზღვროს სააგენტოს საერთაშორისო, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი - გიორგი ასანიშვილი.
2. დაევალოთ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს (სამმართველოს უფროსები) კომპეტენციის ფარგლებში, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს მიაწოდონ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილების დანართით განსაზღვრულ ნუსხაში ჩამოთვლილი ინფორმაცია.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12-ე კ/მ №6).

გიორგი არსოშვილი

A handwritten signature in black ink, appearing to read 'G. Arsochvili', with a large, stylized flourish extending downwards from the end of the name.